MES 5 23 0000820311

04/07/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:
1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვით არების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
შპს მწვანე სკოლა-დიდი დიღომი

ბაკურ სულაკაური - სკოლის დირექტორი

ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღი
მანანა ჯავაშვილი - სკოლის თანადამფუძნებელი, სასწავლო პროცესის კოორდინატორი

შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯი
ნინო ჭიჭინაძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
შპს მწვანე სკოლა-დიდი დიღომი
ლელა ფიცხელაური
მამუკა ხამხაძე

ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღი
ელისო ლოლაშვილი - მერებაშვილი
ლიანა კობესაშვილი

შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯი
ნანა მონიავა
მაკა ტუკვაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 20 ივნისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
საბჭოს სხდომის დაწყებისას გაირკვა, რომ სხდომაზე არ იმყოფებოდა საბჭოს მდივანი, მანანა ჯინჭარაძე. შესაბამისად, დებულების 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს სხდომის მდივნის ფუნქციების შესრულება საბჭოს თავმჯდომარის დავალებით დაეკისრა, საბჭოს წევრს, ქეთევან ნატროშვილს.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1. შპს მწვანე სკოლა-დიდი დიღომის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;

2. შპს მწვანე სკოლა-დიდი დიღომის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

3. ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

4. შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯიში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგში ცვლილებასთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი, შესაბამისად, დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე, ემსჯელათ შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის მიმართ გაცემული რეკომენდაციის შესრულების საკითხთან დაკავშირებით. საბჭომ გაიზიარა წარმოდგენილი შუამდგომლობა, შედეგად, დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის დაწყებამდე, გადაწყდა შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის საკითხის შესახებ მსჯელობა. ცენტრის თანამშრომლის განმარტებით, შპს ქართულ-ამერიკულმა სკოლა პროგრესმა 2023 წლის 19 ივნისს ცენტრში წარმოადგინა წერილი (ცენტრში რეგისტრაციის N711210) მიმდინარე წლის 04 აპრილის საბჭოს სხდომის N376560 ოქმით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ. თუმცა, როგორც წერილიდან ირკვეოდა, დაწესებულებას პრობლემა ჰქონდა შენობის ექსპლუატაციაში მიღების დოკუმენტის წარმოდგენასთან დაკავშირებით და ოქმში მითითებულ ვადაში, 2023 წლის 15 ივნისამდე, ვერ შეძლო აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება თხოვნით მიმართავდა საბჭოს, შენობის ექსპლუატაციაში მიღების დოკუმენტის წარმოდგენის ვადად განესაზღვრათ 2023 წლის 1 სექტემბერი.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან საჭირო იყო დამატებით კითხვებზე პასუხის გაცემა, იმისთვის რომ საბჭოს მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება, მით უფრო, რომ საბჭომ ერთხელ უკვე გადაუვადა დაწესებულებას დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა. შესაბამისად, საბჭო შუამდგომლობდა ცენტრთან, აღნიშნული საკითხის განხილვა მომხდარიყო უახლოეს საბჭოს სხდომაზე და ცენტრს უზრუნველეყო სხდომაზე შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის წარმომადგენლის დასწრება. ცენტრის მიერ გაზიარებულ იქნა საბჭოს შუამდგომლობა.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა საბჭოს მიმართა შუამდგომლობით დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი და მეორე საკითხების შესახებ განხილვა და პრეზენტაცია მომხდარიყო გაერთიანებულ ფორმატში, რადგან შეფასების საგანი და მიზანი იყო ერთი. აღნიშნული შუამდგომლობა გათვალისწინებული იქნა საბჭოს მხრიდან.

1. შპს მწვანე სკოლა-დიდი დიღომის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა

2. შპს მწვანე სკოლა-დიდი დიღომის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ

აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, გაერთიანებული სახით წარედგინა პრეზენტაცია, ექსპერტთა ჯგუფის წევრთან ერთად, შპს მწვანე სკოლა-დიდი დიღომის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილებისა და შპს მწვანე სკოლა-დიდი დიღომის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ფიცხელაურმა და მამუკა ხამხაძემ. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილებისშესახებ ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 4 მაისს, ხოლო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის შესახებ ვიზიტი განხორციელდა 5 მაისს. მან განმარტა, რომ დაწესებულებაში საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1000 -ს, ხოლო სკოლას სურდა 1245 მოსწავლემდე ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა. სკოლაში აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეების რაოდენობა კი 884 იყო.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა ისაუბრა სკოლის ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში პედაგოგთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 91-ს, რომელთაგან 61 უფროსი, 13 მოწვეული, 3 წამყვანი, 5 მასწავლებლობის მაძიებელი და 9 ისეთი მასწავლებელი იყო, რომლებიც 2 წელში გაივლიდნენ მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას.

ექსპერტმა განიხილა სკოლის საუკეთესო პრაქტიკა და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ დაწესებულება ზრუნავდა სასკოლო გარემოს ესთეტიკურ და ეკოლოგიურად მიმზიდველ სივრცედ ჩამოყალიბებისთვის. სკოლა გამოირჩეოდა გამწვანებული, სარელაქსაციო სივრცეებითა და ეკოცნობიერების ამაღლების ხელშემწყობი აქტივობებით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მიუხედავად დაუსრულებელი სარემონტო სამუშაოებისა, სკოლამ წარმოადგინა სტანდარტთან უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმა, სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის გაწერილი გრაფიკით. აღნიშნულიდან გამომდინარე 3.4, 3.5, და 3.6 კომპონენტები შეფასდა „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო ზოგადად მე-3 სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შიდა და გარე სივრცეების ამსახველი ფოტო მასალა, სადაც ჩანდა, რომ სკოლაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. იმ ფართზე, სადაც უნდა განხორციელებულიყო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, სკოლას ექნებოდა 44 საკლასო ოთახი. ლელა ფიცხელაურმა აღწერა, რომ შენობის მე-4 სართულზე ვიზიტის დროს თითქმის ბოლომდე იყო სარემონტო სამუშაოები დასრულებული და დანარჩენი სართულებიც მე-4 სართულის მსგავსად უნდა ყოფილიყო მოწყობილი. დაწესებულებაში იყო ყველა დამხმარე სივრცე. ასევე, ღია და დახურული სპორტული დარბაზი, საცურაო აუზი, სააქტო დარბაზი. ექსპერტის თქმით, ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა პროექტი, თუ როგორი იქნებოდა სკოლა, სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდგომ.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა ისაუბრა სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით გაცემულ რეკომენდაციებზე, კონკრეტულად კი სკოლას სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უნდა დაესრულებინა სარემონტო სამუშაოები და ერთწლიანი შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში სახანძრო უსაფრთხოების

აღჭურვილობა და შესაბამისი ინფრასტრუქტურა მოეყვანა სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. ასევე, შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უნდა დაესრულებინა საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიების, ასევე, ბიბლიოთეკის სტანდარტის შესაბამისად აღჭურვა და დაწესებულებას შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ვადებში დაენერგა საქმისწარმოების ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა. აქვე, ექსპერტმა, განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებული იყო სკოლის მხრიდან და სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიციის სახით მტკიცებულება.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რა ეტაპზე იყოს მოცემულ მომენტში სარემონტო სამუშაოები. სკოლის დირექტორმა, ბაკურ სულაკაურმა აღნიშნა, რომ სარემონტო სამუშაოები უკვე თითქის სრულდებოდა, ხოლო სრულად დასრულების თარიღი იყო 10 აგვისტო.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რა ეტაპზე იყო მოცემულ მომენტში დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაზე სკოლის გადასვლა. სკოლის დირექტორმა, ბაკურ სულაკაურმა განმარტა, რომ შესაბამის ორგანოსთან სკოლას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება აღნიშნულთან დაკავშირებით, ხოლო ხელშეკრულების ამოქმედებას სჭირდებოდა გარკვეული ვადა. კერძოდ საჯარო რეესტრში განაცხადის გაკეთებიდან საჭირო იყო 20 სამუშაო დღე ელექტრონული შტამპის მისაღებად, ხოლო როგორც კი სკოლა მიიღებდა აღნიშნულს, იმავე დღიდან დანერგავდა სკოლა დოკუმენტბრუნვის ელექტორნულ სისტემას ,,eflow”.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაზე და აღნიშნა, რომ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით უკვე შესრულებული უნდა ჰქონოდა სკოლას მათ მიერ გაწერილი აქტივობები. სკოლის დირექტორმა, ბაკურ სულაკაურმა განაცხადა, რომ აღნიშნულ შენობაში მანამდე ფუნქციონირებდა სხვა ავტორიზებული კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელმაც გასულ წელს გაიარა რეავტორიზაცია მათ შორის, აღნიშნულ ფართზე. შესაბამისად, შენობა აკმაყოფილებდა გასულ წელს მოქმედ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებს, თუმცა არ იყო შესაბამისობაში მოქმედ სტანდარტებთან და, ასევე, ვერ აკმაყოფილებდა შპს მწვანე სკოლის კონცეფციასა და მოთხოვნებს. შესაბამისად, სკოლამ დაიწყო ინფრასტრუქტურის ცვლილება და სარემონტო სამუშაოები. აქვე, ბაკურ სულაკაურმა განაცხადა, რომ პროცესი გაცილებით სწრაფად მოვიდა სისრულეში, ვიდრე მათ ჰქონდათ დაგეგმილი. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ რადგან ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები სკოლის ინფრასტრუქტურა და სახანძრო აღჭურვილობები ექსპერტებმა ნახეს დასაწყობებული სახით.

სკოლის დირექტორმა, ბაკურ სულაკაურმა აღნიშნა, რომ იმ მომენტისთვისთვის, როდესაც შედგა მოლაპარაკება და შპს მწვანე სკოლამ შეისყიდა სხვა კერძო სკოლის შენობა, ისევ მიმდინრეობდა სასწავლო პროცესი. შესაბამისად, საჭირო იყო, რომ აღნიშნული დაწესებულების მოსწავლეები ჩარიცხულიყვნენ ბაზაში. ბაკურ სულაკაურმა განაცხადა, რომ ისინი იძულებული იყვნენ შენობა შეესყიდათ შპს მწვანე სკოლა-დიდ დიღომში კამპუსით, რადგან აღნიშნულ სკოლას შეეძლო ჩაერიცხა მოსწავლეები მის ბაზაზე, რადგან ამის საშულებას აძლევდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. აქვე, მან დაამატა, რომ აღნიშნული მოსწავლეები, სარემონტო სამუშაოების გამო, განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით, გადაყვანილი ჰყავდათ დისტანციური სწავლების ფორმატზე. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ მომავალში აღნიშნული შენობა გაიმიჯნებოდა შპს მწვანე სკოლა-დიდი დიღომისგან და ცალკე იურიდიულ პირად იქნებოდა წარმოდგენილი, რომელსაც დაერქმეოდა შპს მწვანე სკოლა - საბურთალო.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა ითხოვდა, თუ არა რაიმე დოკუმენტაციის მომზადებას ის სამუშაოები, რომელიც დასრულდებოდა 10 აგვისტოს. სკოლის დირექტორმა, ბაკურ სულაკაურმა აღნიშნა, რომ შიდა მიღება-ჩაბარების აქტი იქნებოდა საჭირო, ვინაიდან შენობა ექსპლუატაციაში უკვე მიღებული იყო. მიმდინარე წლის 10 აგვისტოს სკოლა წარმოადგენდა მიღება-ჩაბარების აქტსა და დასრულებული სარემონტო სამუშაოების ფოტო-მასალას. აქვე, ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა დაამატა, რომ სკოლას გარე სტრუქტურული ერთეულებიდან დასჭირდებოდა შენობის სახანძრო უსაფრთოების შესახებ დასკვნა.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, აწარმოებდა თუ არა სკოლა სარემონტო სამუშაოების ექსპერტიზას მიღება-ჩაბარების აქტისთვის. სკოლის დირექტორმა, ბაკურ სულაკაურმა განმარტა, რომ ექსპერტიზას არ აწარმოებდნენ, რადგან ძველ ფორმატშიც აკმაყოფილებდა შენობა სამშენებლო სტანდარტებს და ხორციელდებოდა მხოლოდ კოსმეტიკური რემონტი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მწვანე სკოლა-დიდი დიღომის მიერ ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^2-ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების შესაბამისად, განხორციელდეს შპს მწვანე სკოლა-დიდი დიღომის (ს/კ: 211357020) მიერ ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მწვანე სკოლა-დიდი დიღომის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და 1245-ით განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16^2 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, შპს მწვანე სკოლა-დიდ დიღომს (ს/კ: 211357020) გაეზარდოს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 1245-ით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^2-ე მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით მონიტორინგის განხორციელების შესახებ. კერძოდ, მიმდინარე წლის არაუგვიანეს 1 სექტემბერს ცენტრში წარმოედგინა შესწავლის მიზნით სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კერძოდ, შენობის შიდა მიღება-ჩაბარების აქტი, შენობის სახანძრო უსაფრთოების შესახებ დასკვნა და რემონტის დასრულების ამსახველი ფოტო-მასალა.

3. ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა და ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნის პროექტში დაფიქსირებული გარემოებები სკოლამ გაითვალისწინა და არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც დაფიქსირებული გარემოებების აღმოფხვრის პერიოდად განსაზღვრული იყო ერთწლიანი ვადა. ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა ხარისხის მართვის შესაბამისი დოკუმენტი, თუმცა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა, რომ მიმდინარე წლის 10 ივლისამდე მოახდენდა შესაბამისი ადამიანური რესურსით აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანას.
ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი - მერებაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების მიზანი იყო მოსწავლეთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა. აქვე, მან განმარტა, რომ ექსპერტები გაესაუბრნენ მშობლებსა და მოსწავლეებს და გამოიკვეთა, რომ დარღვეული იყო საჩივრის განხილვის წესი, რაც დაწესებულების შინაგანაწესთან მოდიოდა შეუსაბამობაში. აღნიშნული სკოლამ გაითვალისწინა და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა გეგმა, სადაც

განსაზღვრა, რომ სკოლა გადახედავდა საჩივრის მიღების წესს და მოიყვანდა მას შინაგანაწესთან შესაბამისობაში.
ექსპერტმა ისაუბრა სტანდარტთან შეუსაბამობაზე, რომელიც გამოვლინდა პირველად სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ექიმის კაბინეტი არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ასევე, რიგი მედიკამენტები იყო ვადაგასული. დაწესებულებამ გაითვალისწინა ხარვეზი და წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფართი არ იყო გამიჯნული საბავშვო ბაღის სივრცისგან. აღნიშნულზე ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომელიც ასევე გათვალისწინებული იყო დაწესებულების მხრიდან სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით.
ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილმა - მერაბიშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული ხარვეზების გამოსწორება შესაძლებელი იყო კონკრეტულ ვადებში და ხაზი გაუსვა სკოლის საუკეთესო გამოცდილებას, რომელიც სასწავლო პროცესში მშობლების აქტიურ ჩართულობას გულისხმობდა. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ სკოლაში ხორციელდებოდა სოციალური პროექტები და გასვლითი ბანაკები.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რა დრო სჭირდებოდა სკოლას დაფიქსირებული გარემოებების აღმოსაფხვრელად.
სკოლის წარმომადგენელმა, მანანა ჯავაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული ხარვეზების გამოსწორებისთვის მოთხოვნილი ჰქონდათ 6 თვიანი პერიოდი. ხოლო, საზოგადოებრივი უსაფრთხოების წესი და პირობები შესათანხმებლად გაგზავნილი ჰქონდათ განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან. შესაბამისად, არ იცოდნენ ზუსტი დრო როდის მიიღებდნენ მათგან პასუხს. ამიტომ, აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად მათ განსაზღვრული ჰქონდათ 1 წლიანი პერიოდი.
საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე დაინტერესდა, რადგან სკოლამ სამოქმედო გეგმაში გაწერა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმის ფუნქციონირების პერიოდული შემოწმება, როდისთვის იყო დაგეგმილი სასკოლო საზოგადოების გამოკითხვისთვის ფორმების განახლება. სკოლის წარმომადგენელმა, მანანა ჯავაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული უკვე განახლებული იყო სკოლის მიერ გაწერილი თარიღების შესაბამისად და მოსწავლეებთან და მშობლებთან ჩატარდა გამოკითხვები.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა შინაგანაწესთან დაკავშირებული კითხვით. კერძოდ, ის დაინტერესდა, სკოლას ჰქონდა თუ არა დაწესებული მოქმედი კანონმდებლობისგან განსხვავებული პირველკლასელთა ჩარიცხვის ასაკობრივი ზღვარი. ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილმა-მერებაშვილმა განმარტა, რომ დასკვნის პროექტში აღნიშნული საკითხი დახარვეზდა, რადგან დაწესებულების შინაგანაწესის 24-ე მუხლის თანახმად, სკოლაში ჩაირიცხებოდნენ ის მოსწავლეები, რომელთაც 6 წელი უსრულდებოდათ მაისის ბოლომდე. ექსპერტის თქმით, აღნიშნული ეწინააღმდეგებოდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პირველკლასელთა ჩარიცხვის წესს. თუმცა, დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას ცენტრში წარმოადგინა განათლების და მეცნიერების სამინისტროში გაგზავნილი წერილი მოსწავლეთა ჩარიცხვის წესის შეთანხმების შესახებ. დაწესებულების წარმომადგენლის, მანანა ჯავაშვილის განმარტებით, ვალდორფის სკოლებში მსგავსი პრაქტიკა მიღებული იყო, რომელიც გამართლებული იყო ბავშვების ფიზიოლოგიური განვითარებით. კერძოდ, მისი თქმით, რამდენიმე მოთხოვნა იყო, რაც აღნიშნული ასაკის შესაბამისად უნდა ჰქონოდა ბავშვს

განვითარებული, როგორიც იყო მაგალითად, კბილთა ცვლა და კიდურების ზრდა. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, ბავშვს უნდა შეძლებოდა მარჯვენა ხელის მარცხენა ყურთან მიტანა და პირიქით. მანანა ჯავაშვილის განმარტებით, ზემოაღნიშნული მიუთითებდა იმაზე, რომ ბავშვი მზად იყო სასწავლო პროცესში ჩასართავად და მის ტვინში იყო სასწავლო მიზნებისთვის გონებრივი მზაობა. აქვე, მან დაამატა, რომ 1994 წლიდან დაწესებულება მოსწავლეთა მიღებას ახორციელებდა აღნიშნული წესის შესაბამისად. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით მათ მიმართეს განათლების და მეცნიერების სამინისტროს. წერილის საფუძველზე კი დაწესებულება ითხოვდა გამონაკლისს მოსწავლეთა მიღებასთან დაკავშირებით. მანანა ჯავაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იმოქმედებდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან მიღებული პასუხის შესაბამისად და უარყოფითი პასუხის მიღების შემთხვევაში დაწესებულება იმოქმედებდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოსწავლეთა მიღების დროს.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა დაამატა, რომ დაწესებულებაში მოქმედი პირველკლასელთა მიღების წესი იყო მიუღებელი და როგორ უნდა მოქცეულიყვნენ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს ექნებოდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება და ვერასდროს ვერ შეასრულებდა დაწესებულების მიერ მოთხოვნილ კომბინაციას. დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა ჯავაშვილმა განაცხადა, რომ სხვა სკოლებიც იყო, სადაც აღნიშნულის დაფიქსირების დროს მშობელს შეეძლო ესარგებლა. ასევე, მან დაამატა, რომ აღნიშნული იყო ის მოთხოვნები, რომლის დაკმაყოფილებაც სასკოლო ასაკის ნებისმიერ ბავშვს შეეძლო. აქვე, საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ დაამატა, რომ ბავშვს, ვისაც დადგენილი ექნებოდა სსსმ სტატუსი, ვერ შეძლებდ სკოლის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, შესაბამისად, მისთვის მიუწვდომელი ხდებოდა აღნიშნულ სკოლაში სწავლა.
საბჭოს წევრმა, გიორგი გიგიბერიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ უფრო მისაღები იქნებოდა განათლების და მეცნიერების სამინისტროსგან შესაბამისი პასუხის მიღებამდე სკოლას შეეცვალა მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი, ხოლო განათლების და მეცნიერების სამინისტროდან დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში კვლავ დაებრუნებინა. ასევე, საბჭოს წევრი დაინტერესდა გამიჯნული იყო თუ არა სკოლისა და საბავშვო ბაღის შესასვლელი სივრცეები. დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა ჯავაშვილმა განმარტა, რომ სკოლისა და საბავშვო ბაღის შესასვლელები ერთმანეთისგან გამიჯნული იყო. აქვე, მან დაამატა, რომ ორივე დაწესებულება იყენებდა ერთი და იმავე დარბაზს, თუმცა გამიჯნული იყო მისი სარგებლობის საათები და დღეები. ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილმა-მერებაშვილმა განაცხადა, რომ საბავშვო ბაღის გარკვეულ ტერიტორიას იყენებდა სკოლა და ვიზიტის დროსაც ფიქსირდებოდნენ აღნიშნულ ტერიტორიაზე მოსწავლეები. აქვე, მან დაამატა, რომ ექსპერტებისთვის ხელმისაწვდომი არ ყოფილა დარბაზით სარგებლობის განრიგი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე

დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის მე-19 და 25-ე პუნქტების შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის (ს/კ: 203827083) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის მე-19 და 25-ე პუნქტების საფუძველზე, საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით მონიტორინგის განხორციელების შესახებ. კერძოდ, მიმდინარე წლის არაუგვიანეს 1 სექტემბერს დაწესებულებას ცენტრში წარმოედგინა შესწავლის მიზნით სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კერძოდ, წარმოედგინა დარბაზის გამიჯვნის შესახებ ბრძანება და მისით სარგებლობის შესახებ წესი, იმგვარად, რომ საბავშვო ბაღსა და სკოლას არ ჰქონოდა გადაკვეთა. გარდა ამისა, დაუყოვნებლივ შეეტანა ცვლილება მოსწავლეთა ჩარიცხვის შესახებ წესში და წარმოედგინა ცენტრში.

4. შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია-ჯიჯიში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნანა მონიავამ და მაკა ტუკვაძემ. ექსპერტმა, ნანა მონიავამ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 11 და 12 აპრილს. დაწესებულება მდებარეობდა ქ. ზუგდიდში, ცაიშვილის ქ. N32-ში. ექსპერტმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მონიტორინგის ვიზიტის საფუძველი იყო სკოლის მოსწავლის მშობლის განცხადება.

ექსპერტმა, ნანა მონიავამ ისაუბრა სკოლის გამორჩეულ პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა გაცვლითი პროგრამები სხვადასხვა ქვეყნის სკოლებთან. ექსპერტმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას გათვალისწინებული ჰქონდა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები, რომელიც შეეხებოდა თანამშრომლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებს.

ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულებაში გამოვლენილ გარემოებებზე. კერძოდ, 3.4.1.1 ინდიკატორის ფარგლებში სკოლას არ ჰქონდა შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ასევე, სამედიცინო კაბინეტში არ იყო ბუნებრივი განათების წყარო. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ ფოტო-მასალით დაადასტურა სამედიცინო ოთახის სხვა სივრცეში გადატანა. ნანა მონიავამ განმარტა, რომ 3.4.1.2 ინდიკატორის ფარგლებში „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი

წესრიგის დაცვის წესები და პირობების“ დებულებაში არ იყო გათვალისწინებული მანდატურის სამსახურის რეკომენდაცია მოსწავლის მიმართ განხორციელებული მოსწავლის ან ადმინისტრაციის თანამშრომლის მხრიდან ძალადობის შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირების ვალდებულების შესახებ. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ შეიტანა აღნიშნულ წესში ცვლილება და გადააგზავნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შესათანხმებლად. ექსპერტის თქმით, სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად დაწესებულების მხრიდან გათვალისწინებული იყო გონივრული ვადები. გარდა ამისა, გიმნაზიას ფსიქოლოგიური მომსახურების მისაღებად არ ჰქონდა შემუშავებული შესაბამისი მექანიზმები. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლას უკვე გაფორმებული ჰქონდა ფსიქოლოგთან ხელშეკრულება. ნანა მონიავას განმარტებით, ხარვეზი ფიქსირდებოდა 4.1.1.1 ინდიკატორთან მიმართებითაც, რომელიც შეეხებოდა დაწესებულების მიერ შემუშავებულ შიდა რეგულაციებს. კერძოდ, ის არ მოიცავდა ყველა შესაძლო შემთხვევას და შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფდა მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ დაწესებულებამ შეიმუშავა „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“. ექსპერტის განცხადებით, შინაგანაწესში გაწერილი იყო მხოლოდ დისციპლინური საქმისწარმოება და არ იყო ინფორმაცია მოსწავლის წახალისების შესახებ. გიმნაზიაში დისციპლინური სახდელის ერთ-ერთი ზომა სკოლიდან გარიცხვა იყო, სადაც არ ჩანდა მოსწავლის და მისი კანონიერი წარმომადგენლის უფლება, სკოლიდან გარიცხვის შემთხვევაში სხვა სკოლაში გადასვლის შესაძლებლობის თაობაზე. აქვე, ნანა მონიავამ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ 2023 წლის 22 მაისის დირექტორის ბრძანებით ცვლილება შეიტანა სკოლის შინაგანაწესში. რაც შეეხებოდა 4.1.1.2 ინდიკატორთან დაკავშირებულ ხარვეზს, სასკოლო რეგულაციები, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის შესახებ არ იყო გამჭვირვალე. ექსპერტის თქმით, მოსწვლეს შეეფარდა ისეთი დისციპლინური სახდელი, რომელიც სკოლას განსაზღვრული არ ჰქონდა. ასევე, არ ჩანდა რომელი დისციპლინური გადაცდომის დროს რა სახდელი იყო განსაზღვრული. აღნიშნულთან დაკავშირებითაც სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების დამადასტურებელი დირექტორის ბრძანება. ნანა მონიავას თქმით, ხარვეზი გამოვლინდა 4.1.1.3 ინდიკატორთან დაკავშირებითაც, კერძოდ მოსწავლესთან ან კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება არ იყო მკაფიო და გამჭვირვალე. ხელშეკრულებაში არაფერი იყო ნათქვამი კერძო სკოლის ვალდებულებებზე ფინანსური დავალიანების შემთვევაში მოსწავლის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებით. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ დაწესებულებამ შეიმუშავა „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“, რომელშიც გათალსიწინებული იყო აღნიშნული ხარვეზი. ექსპერტის თქმით, სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები საჭიროებდა კორექტირებასა და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ რა იყო იმის მიზეზი, რომ მესამე სტანდარტი მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს. ექსპერტმა, ნანა მონიავამ განმარტა, რომ დაწესებულებას დარჩენილი ჰქონდა ორი საკითხი მოსაგვარებელი, რომელთა მოგვარებისთვისაც განსაზღვრული ჰქონდა გონივრული ვადები. კერძოდ, სკოლას არ ჰქონდა შსს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ასევე, „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები“-ს დებულებაში არ იყო გათვალისწინებული მანდატურის სამსახურის მოთხოვნა (მუხლი 23, პუნქტი 5) მოსწავლის მიმართ განხორციელებული მოსწავლის ან/და ადმინისტრაციის თანამშრომლის მხრიდან ძალადობის შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირების

ვალდებულების შესახებ. აღნიშნული გარემოებების აღმოსაფხვრელად დაწესებულებას ორივე შემთხვევაში გაგზავნილი ჰქონდა წერილები შესათანხმებლად შესაბამის ორგანოებთან.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაზე დაყრდნობით, დაწესებულებას ხარვეზების 95% აღმოფხვრილი ჰქონდა.
დაწესებულების დირექტორმა, ნინო ჭიჭინაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და საბჭოს წევრებს. აქვე, მან დაამატა, რომ სკოლამ იმუშავა ექსპერტთა მიერ დაფიქსირებულ ყველა ხარვეზსა და რეკომენდაციაზე და აღნიშნა, რომ მათი ნაწილი უკვე აღმოფხვრილი იყო, ხოლო დარჩენილი ორი საკითხი იყო აღმოფხვრის პროცესში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია-ჯიჯის ავტორიზაციასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია-ჯიჯის (ს/კ: 220389559) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 16:20 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს სხდომის მდივანი
ნატროშვილი ქეთევან